ოქრო ოქროში, ვერცხლი ვერცხლში, ხორბალი ხორბალში, ქერი ქერში, ფინიკი ფინიკში, მარილი მარილში – მსგავსი, მსგავსით, ხელიდან ხელზე. ხოლო თუ ეს სახეობები განსხვავებულია, გაყიდეთ, როგორც გნებავთ, ოღონდ ხელიდან ხელზე

'უბაადა იბნ საამით (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ოქრო ოქროში, ვერცხლი ვერცხლში, ხორბალი ხორბალში, ქერი ქერში, ფინიკი ფინიკში, მარილი მარილში – მსგავსი, მსგავსით, ხელიდან ხელზე. ხოლო თუ ეს სახეობები განსხვავებულია, გაყიდეთ, როგორც გნებავთ, ოღონდ ხელიდან ხელზე».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განმარტა სწორი ვაჭრობის წესი ექვსი საპროცენტო საქონლისთვის: ოქრო, ვერცხლი, ხორბალი, ქერი, ფინიკი და მარილი. თუ ეს საქონელი ერთსა და იმავე სახეობას მიეკუთვნება, მაგალითად, ოქროს ოქროზე გაყიდვა ან ვერცხლის ვერცხლზე გაცვლა, აუცილებელია ორი პირობის დაცვა: პირველი: წონის თანასწორობა, თუ საქონელი წონით იზომება, როგორიცაა ოქრო და ვერცხლი, ან მოცულობითი თანასწორობა, თუ საქონელი მოცულობით იზომება, როგორიცაა ხორბალი, ქერი, ფინიკი და მარილი. მეორე: გამყიდველმა უნდა მიიღოს თანხა და მყიდველმა – საქონელი იმავე სავაჭრო შეხვედრაში (გარიგების დადებისას). თუ ეს სახეობები განსხვავდება, მაგალითად, ოქროს ვერცხლზე გაყიდვა ან ფინიკის ხორბალზე გაცვლა, მაშინ ვაჭრობა ნებადართულია ერთი პირობით: გამყიდველმა უნდა მიიღოს თანხა და მყიდველმა – საქონელი იმავე სავაჭრო შეხვედრაში (გარიგების დადებისას). წინააღმდეგ შემთხვევაში, გარიგება ბათილია, ხოლო გამყიდველი და მყიდველი ერთნაირად ჩავარდებიან აკრძალულ რიბაში (პროცენტში).

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66385